ხელშეკრულება №01-200/2019
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ.თბილისი **სექტემბერი, 2019 წელი**

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, **სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო** (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“), ს/კ 205316399 წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ლომჯარიას სახით და მეორე მხრივ, **სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"** (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”), ს/კ 204478948, წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის დავით გიორგობიანის სახით,

,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ” ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“ -ს მე-3 მუხლის „თ“ პუნქტის საფუძველზე **(CPV 50112000 – მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება)**, ხელს ვაწერთ შემდეგი შინაარსის ხელშეკრულებას

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, მიმწოდებლის მიერ, შემსყიდველის საკუთრებაში არსებული „ჰიუნდაის” მარკის ავტომანქანისთვის (ჰიუნდაი იონიქი, სახელმწიფო ნომრით CG-795-CG), ტექნიკური მომსახურების (შემდგომში „მომსახურება“) გაწევა, საკუთარი მასალით (შემდგომში „საქონელი“), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

2.2. საქონლის/მომსახურების მახასიათებლები:

№	*საქონლის/მომსახურების დასახელება/აღწერილობა*	*რაოდენობა /განზომილება*	*ერთეულის ფასი*	*ჯამი (ლარი)*
1	*ძრავის ზეთი*	*4 ლიტრი*	*25*	*100*
2	*ზეთის ფილტრი*	*1 ცალი*	*20*	*20*
3	*ზეთის შეცვლა სტანდარტული*	---	*15*	*15*
			ჯამი	***135***

2.3. შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ავტომანქანის მომსახურების პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ინდივიდუალურად; მიმწოდებლის მიერ შეკვეთა-განაცხადის გახსნით, რის საფუძველზეც მიმწოდებლის მიერ მხარეთა ერთობლივი ან ცალმხრივად დათვალიერების საფუძველზე, მიმწოდებლის მხრიდან გამოწერილი იქნება შესაბამისი ინვოისი-მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაზუსტებული სახით არის წარმოდგენილი შესაბამისი მომსახურება.

2.4. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსყიდველი უკვეთავს მიმწოდებელს კონკრეტული ავტომანქანის სარემონტო სამუშაოებს, ხოლო შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს მას წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 პუნქტში აღნიშნული საქონელი და მომსახურება.

2.5. დაფინანსების წყარო: **საკუთარი შემოსავლები.** შესყიდვა ხორციელდება მოხსენებითი ბარათის N73-01192422072 მოთხოვნის შესაბამისად.

3. შემსყიდველის უფლებები და მოვალეობები

3.1. შემსყიდველმა უზრუნველყოს შეკვეთის მიწოდება და მისი წარმომადგენლის განსაზღვრა წერილობითი (მათ შორის ელ.ფოსტის მეშვეობით) ფორმით, ვინც იქნება უფლებამოსილი, შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ჩაბარებაზე;

3.1.1. შემსყიდველის მხრიდან, შესრულებული სამუშაოს ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ლოჯისტიკის მენეჯერი მალხაზ ონოფრიშვილი, ინსპექტირებას კი განახორციელებს სააგენტოს ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის ოპერატიული რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსის მოადგილე, ზურაბ ლატარია;

3.2. შვიდი დღის ვადაში გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მოსახურების ღირებულება, 2.3. მუხლში მოხსენიებული დოკუმენტების საფუძველზე, ამასთან მომსახურების დასრულებისას - ავტომანქანის მიმწოდებლის ტერიტორიიდან გაყვანამდე უზრუნველყოს შედარების აქტის გაფორმება; მხოლოდ ამ პროცედურის გავლის შემდეგაა იგი უფლებამოსილი დატოვოს სერვისის ტერიტორია.

3.3. შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს გაწეული მომსახურების ჩაბარება ორივე მხარის ინსპექტირების ჯგუფის წარმომადგენლების მონაწილეობით; უხარისხოდ გაწეული მომსახურების შემთხვევაში, მოითხოვოს ხარვეზის გამოსწორება ინსპექტირების შედეგების გათვალისწინებით. საქონლისა და მომსახურების გადაცემა შესაძლებელია მოხდეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით; საქონლის და/ან მომსახურების, შემსყიდველის მიერ მიღებიდან 7 (შვიდი) დღის შემდეგ, პრეტენზიები აღარ მიიღება; გარდა ამისა, პრეტენზიები არ მიიღება იმ შემთხვევაშიც თუკი ადგილი ექნება მექანიკურ ზემოქმედებას (დაზიანებას) მიმწოდებლის შეცვლილ აგრეგატზე ან დადგინდება, რომ წარმოდგენილ ავტომანქანას ნებისმიერი სახის (მათ შორის შეცვლილი დეტალის დემონტაჟის მიზნით) სერვისი ჩაუტარდა არა „მიმწოდელის“ სერვის ცენტრში.

3.4. შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მიმწოდებლისგან ინფორმაცია, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს შემსყიდველს ინფორმაცია, მომსახურების მიმდინარეობის შესახებ.

4. შემსრულებელის უფლება-მოვალეობანი:

4.1. გაუწიოს შემსყიდველს მოსახურება ამ ხელშეკრულებით შეთანხმებულ ფარგლებში მაქსიმალურად ხარისხიანად და შემჭიდროვებულ ვადებში; ამასთან მომსახურების ადგილად განისაზღვროს ქ. თბილისი, შემსრულებლის ავტოსერვისის ტერიტორია;

4.2. მიაწოდოს ინფორმაცია შემსყიდველს, მომსახურების მიმდინარეობის შესახებ;

4.3. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება განხორციელდება კვალიფიციურად და სამუშაოების შესრულება განხორციელდება მაღალკვალიფიციური ოსტატების მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით.

4.4. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის თანხმობის გარეშე სხვას გადააკისროს მის მიერ შესასრულებელი მომსახურება, გარდა ტექნიკური ხასიათის სამუშაოს შესრულებისა.

5. სახელშეკრულებო ვადა:

5.1. ავტომანქანის მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღე;

5.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 30 ნოემბრამდე.

5.3. ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები უფლებამოსილნი არიან ვადაზე ადრე ცალმხრივად შეწყვიტონ ეს ხელშეკრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი აღნიშნულის შესახებ 30 (ოცდაათი) დღით ადრე წერილობით აცნობებენ კონტრაგენტს;

6 მომსახურების საფასური

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების სრული ღირებულება შეადგენს **135.00 (ასოცდათხუთმეტი) ლარს.**
6.2. საქონლის/მომსახურების ერთეულის ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების 2.2. პუნქტში;
6.3. მომსახურების საფასურის გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე;

7 მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

7.1. თითოეული მხარე პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის.

7.1.1. ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულებისათვის, ბრალეული მხარე მეორე მხარეს უხდის პირგასამტეხლოს ინვოისში დაფიქსირებული თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

7.2. თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია მეორე მხარის ბრალის შედეგად.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პასუხისმგებლობა არ დადგება თუკი ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვევულია დაუძლეველი ძალით (ფორს-მაჟორი), რაც შეუძლებელს ხდის ამ ხელშეკრულების შესრულებას;

7.4. დაუძლეველი ძალად მიიჩნევა ისეთი ფაქტის ან გარემოების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, კერძოდ:

7.4.1..ხანძარი და აფეთქება, წყალდიდობა, სტიქიური უბედურება;

7.4.2. სამხედრო მოქმედება, აჯანყება, სამოქალაქო ომი.

7.5. თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს სამი დღისა) შეატყობინოს დაუძლეველი ძალის არსებობის შესახებ, რის გამოც იგი ვერ ახერხებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

7.6. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, ხელშეკრულების შესრულება გადაიწევს იმ ვადით რა ვადითაც ადგილი ექნება ფორს-მაჟორს, მაგრამ არაუმეტეს 2(ორი) თვის ვადისა. ასეთი ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მხარეები დამატებით გადაწყვეტენ ურთიერთობების ფორმებსა და პირობებს;

7.7. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

8 ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

8.2.1. მიმწოდებელი არ უწევს შეთანხმებულ მომსახურებას;

8.2.2. მიმწოდებელმა დაარღვია ნაკისრი ვალდებულება.

8.3. თუ შემსყიდველი არ გადაუხდის მიმწოდებელს შეთანხმებულ ანაზღაურებას ან/და გადააცილებს გადახდის ვადას, მაშინ შემსრულებელს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება საზღაურის გადახდის ვადის დადგომიდან 30 კალენდარული დღის შემდეგ. ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ შემსრულებელმა წერილობით უნდა აცნობოს დამკვეთს შეწყვეტის საფუძვლის მითითებით.

8.4. ხელშეკრულება შეწყდება ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინებით მუხლი 5.3.-ის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.5 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტამდე არსებული ვალდებულებები მხარეთა მიერ უნდა იქნას შესრულებული სრულად;

9 დამატებითი პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებას მხარეები ელექტრონული ხელმოწერებით/ელექტრონული შტამპით ადასტურებენ; სხვადასხვა თარიღში დამოწმება/დადასტურების შემთხვევაში, ხელშეკრულება გაფორმებულად ჩაითვლება იმ თარიღში, როდესაც მეორე მხარე დაამოწმებს/დაადასტურებს ელექტრონული ხელმოწერით/ შტამით.

9.2. ხელშეკრულებაში ცვლილება-დამატებების შეტანა ხდება წერილობითი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, რაც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

.10 მხარეთა ხელმოწერა და რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო ს/კ: 205316399 მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №89/24 - კ. მარჯანიშვილის №89/24; **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ/კოდი: TRESGE22 **ვახტანგ ლომჯარია** _____ **დირექტორი**	**სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"** ს/კ: 204478948 მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ **საბანკო რეკვიზიტები:** სს GE15TB1100000110467697თი ბი სი ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE15TB1100000110467697 **დავით გიორგობიანი** HYUNDAI AVTO GEORGIA JSC **პრეზიდენტი** Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC Date: 2019.09.02 17:32:14 +04'00'

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიმართ ***(სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო", №01-200/2019)*** *არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.*

სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის
სააგენტოს დირექტორი */ ვახტანგ ლომჯარია /*

<u>ინსპექტირების განმახორციელებელი პირი:</u>
სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს
ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი
სპეციალისტი , ლოჯისტიკის მენეჯერი */ მალხაზ ონოფრიშვილი /*

სააგენტოს ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების
დეპარტამენტის ოპერატიული რეაგირებისა და მონიტორინგის
განყოფილების უფროსის მოადგილე */ ზურაბ ლატარია /*